შპს „SAYALI"
ს/კ 406057804
მის: თბილისი, დ.უზნაძის 58, უ.ჩხეიძის 17
ფაქტ.მის: ქ. თბილისი, უ.ჩხეიძის 6, მე-2 სართ.
ტელ: (+995032) 295-12-12, 577261089
ელ.ფოსტა: info@sayali.ge

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო

E2053

თარიღი : 26.12.16.

ტელ.: 299 11 05

N29-16

26 დეკემბერი 2016 წელი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს
ბატონ გიორგი გახარიას;

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ეკატერინე სისაურს;

ბატონო გიორგი,

ნება გვიბოძეთ წარმოგიდგინოთ შპს „SAYALI"-სა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო საინვეტიციო სააგენტო "OPIC"-ის პირველი ერთობლივი სამედიცინო პროექტი საქართველოში „American Hospital Tbilisi". ჰოსპიტალი წარმოადგენს 120 საწოლზე გათვლილ მრავალ-პროფილურ (რეფერალურ) დაწესებულებას, რომლის მსგავსი ანალოგი არ არსებობს მთელი კავკასიის რეგიონში. პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს აშშ 30,5 მილიონ დოლარს და მის მართვას ახორციელებს ამერიკული კომპანია „American Hospital Management Company", რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს გახსნიდან ორი წლის თავზე JCI სტანდარტის დანერგვა და შენარჩუნება.

მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების თანახმად პროექტი უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 1 იანვრამდე და სავალდებულო ჩასადები ინვესტიციის მოცულობა განისაზღვრა აშშ 12 მილიონიდოლარით. გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ დღემდე აზერბაიჯანელმა ინვესტორმა მოახდინა პროექტში დაახლოებით აშშ 9.900.000 მილიონი დოლარის კაპიტალის სახით ჩასხმა, ხოლო OPIC-მა თავის მხრივ ჩარიცხა სესხის პირველი ტრანში აშშ 6 მილიონი დოლარის ოდენობით (იხილეთ დანართი 1 - აუდიტის დასკვნა). პროექტის დასასრულებლად განსაზღვრულია დამატებით აშშ 3,5 მილიონი დოლარის კაპიტალის სახით ინვესტირება, რასაც მოჰყვება დამატებითი აშშ 12 მილიონი დოლარის სესხის გამოყოფა OPIC-ის მხრიდან. ყოველივე როგორც ხედავთ ჯამშიდაახლოებით 2,5 ჯერ აღემატება სავალდებულო საინვესტიციო თანხას ვიდრე ეს არის განპირობებული სახელმწიფოსთან დადებული მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში.

სამწუხაროდ პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე დეტალური სამშენებლო დოკუმენტაციისმომზადების კუთხით მოხდა შეფერხება. კერძოდ, დღეის მდგომარეობით დასრულებულია შენობის კარკასი და გადახურვა, თუმცა სულ რაღაც ორი კვირის წინ დასრულდა ე.წ. "MEP – Mechanical Electrical Plumbing" პაკეტის შემუშავება, რომელიც [illegible] 9 თვიანი დაგვიანებით. წლის ბოლოდმე გამოცხადდება ტენდერი ამ სამუშაოების დასრულებაზე, რომელთა დასრულება მოითხოვს მინიმუმ დამატებით ერთ წლიან ვადას. პარალელურად, [illegible]

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
შემოსვლის № 16635/12
26 12 2016
2/5 ფურცელი

შიდა-მოსაპირკეთებელი სამუშაოები და სამედიცინო დანადგარების შესყიდვის სატენდერო პროცედურა.
ბუნებრივია ყოველივე მოითხოვს დამატებით დროს და ჩვენი კონსულტანტები ვარაუდობენ, რომ ჰოსპიტალის გაშვებას მოახდენენ 2018 წლის პირველ ნახევარში.
გვინდა გაცნობოთ, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში მივიღეთ რამოდენიმე წერილი-შეტყობინება საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრიდან და მის საქვეუწყებო დაწესებულებებიდან, რაც არსებული დაგვიანებების ფონზე გვაძლევს საფუძველს იმისა რომ ვიფიქროთ შესაძლო საჯარიმო სანქციებზე სახელმწიფოს მხრიდან შპს „SAYALI"-სთან მიმართებაში. ყოველივე ბუნებრივია შექმნის გარკვეულ პრობლემას OPIC-თან თანამშრომლობის კუთხით, რადგანაც ასეთი შემთხვევა თავისი შინაარსობრივი და ფინანსური დატვირთვით შესაძლებელია წარმოადგენდეს „Event of Default"-ს. ეს თავის მხრივ რისკის ქვეშ დააყენებს შემდგომი ტრანშების მიღებას და ასევე პროექტის განხორციელებას.
უმორჩილესად გთხოვთ, გაითვალისწინოთ"American Hospital Tbilisi"-ის სტრატეგიული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სექტორისთვის და ასევე OPIC-ის ურყევი მხარდაჭერა და მზარდი ინტერესი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მიმართებაში. ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ შპს SAYALI-ის მიერ კონტრაქტით აღებული და შესასრულებელი პირობების გადავადების შესაძლებლობა 2018 წლის ნოემბრამდე და ჩვენთვის პირგასამტეხლოს თუ სხვა საჯარიმო სანქციების პირობით პატიება. ბუნებრივია, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში მზად ვართ გავაგრძელოთ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის ვადა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად.

დანართი: 1- აუდიტის დასკვნა.
დანართი: 2 – OPIC-ის წერილი სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგანტოს.

პატივისცემით,
დირექტორი ს.აღალარლი

შპს "SAYALI" 406057804 "SAYALI" LTD * GEORGIA

FMG FINANCIAL MANAGEMENT GROUP

Member of HLB International

შპს ფინანსური მმართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. 2
თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (32) 36 33 11
ფაქსი: (995) (32) 36 44 55
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP LTD
2 Dolidze Str.
Tbilisi, Georgia
tel.: (995) (32) 36 33 11
fax: (995) (32) 36 44 55
e-mail: info@fmg.ge

#D06-IS

Tbilisi

6 June 2016

## Audit Report

"Financial Management Group" LLC under the terms of the contract with "Sayali" LLC prepared the audit report on amount of investment made by "Salyali" LLC. The liability of investment laid upon "Sayali" LLC by the agreement with Ministry of Economics from 26 December 2011 and by the decision of Georgian Government #1959 from 13 December 2013, paragraph 1, and point g.a. The *Company* registered by Tbilisi regional center of Ministry of Finance of Georgia in 8 November 2011, with identification number # 406057804.

The results of this report are based on the auditor`s knowledge and experience and auditor do not have any interest on the property or in the *company*.

According to our observation we can confirm that as of May 31, 2016 "Sayali" LLC under its obligation invested in the project **18,480,445** (Eighteen Million Four Hundred Eighty Thousand Four Hundred Forty Five) Georgian Lari.

Appendixe #1 displays the detailed information.

Director

David Sichinava

OPIC Overseas Private Investment Corporation

1100 New York Avenue, N.W.
Washington, D.C. 20527-0001
(202) 336-8400
FAX (202) 408-9859

April 22, 2016

The Honorable Dimitri Kumsishvili
Vice Prime Minister
and Minister of Economy and Sustainable Development
Ministry of Economy and Sustainable Development
12 Chanturia Street
Tbilisi 0108
Georgia

Re: Decrees of Georgian Government No. 1959 dated December 13, 2013 and No. 1942 dated September 5, 2014 regarding the sale of state property to Sayali, LLC for development of the American Hospital Tbilisi

Dear Vice Prime Minister:

I write to confirm to you the continuing support of Overseas Private Investment Corporation, an agency of the United States of America ("OPIC") for the above-referenced project. OPIC has closed and partially disbursed an $18 million loan facility with Sayali, LLC to support the development that has taken place to date. More recently, OPIC, working with its independent engineer, has reviewed and approved Sayali's revised project design, which the OPIC team believes will improve the hospital project.

Subject to the Ministry's extension of Sayali's right to develop the project, OPIC is comfortable with the revised project schedule, which anticipates that the hospital will start serving patients in 2018.

OPIC continues to work with Sayali, LLC to ensure that the project is conducted according to the highest standards.

Sincerely,

Samuel Okpattah
Director, Asset Management

**OPIC**
**საერთშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაცია**

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, 20527-0001,
N.W., ნიუ იორკ ავენიუ 1100
(202) 336-8400
ფაქსი: (202) 408-9859

22 აპრილი 2016 წ.

ბ–ნ დიმიტრი ქუმსიშვილს
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს
საქართველო, თბილისი 0108, ჭანტურიას ქ. 12

**საგანი:** საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N1959 და 2014 წლის 5 სექტემბრის N1942 ბრძანებები სახელმწიფო ქონების შპს „საიალი"–თვის მიყიდვის თაობაზე ამერიკული საავადმყოფო თბილისის მშენებლობისთვის

ძვირფასო მინისტრო,

წინამდებარე წერილით ვადასტურებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტო – „საერთშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაცია" (OPIC) აგრძელებს ზემოთ აღნიშნული პროექტის მხარდაჭერას. OPIC–მა დაუმტკიცა 18,000,000 აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი შპს „საიალი"–ს და ნაწილობრივ გასცა იგი აღნიშნული მშენებლობის მხარდასაჭერად, რომელიც დღემდე მიმდინარეობს. ამჟამად OPIC–მა თავისი დამოუკიდებელი ინჟინერის წარმომადგენლობის მეშვეობით განიხილა და დაამტკიცა შპს „საიალი"–ს განახლებული საპროექტო გეგმა, რომელიც OPIC–ის რწმენით გააუმჯობესებს საავადმყოფოს პროექტს.
OPIC იწონებს პროექტის შესწორებულ სამუშაო გეგმას, რომლის მიხედვითაც საავადმყოფო პაციენტებს მიიღებს 2018 წლიდან, აღნიშნული საჭიროებს სამინისტროს მიერ შპს „საიალი"–თვის საავადმყოფოს მშენებლობის ნებართვის გაგრძელებას;

OPIC აგრძელებს შპს „საიალი"–თან თანამშრომლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტის განხორციელება უმაღლესი სტანდარტებით.

პატივისცემით,
სემუელ ოკპატაჰ
დირექტორი, აქტივების მართვის დეპარტამენტი
/ხელმოწერილია/

ვადასტურებ, რომ ჯეროვნად ვფლობ ქართულ და ინგლისურ ენებს და ჩემს მიერ შესრულებული თარგმანი სწორია.
მთარგმნელი:

საქართველო

**ორი ათას თექვსმეტი წლის ოცდახუთ აპრილს** მე, **მეგი მაღალდაძეს,** საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #19 მომმართა **ქ–ნმა თამთა ქუსიკაშვილმა**, რომელმაც წარმოადგინა **ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე** ნათარგმნი დოკუმენტი და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: ქ-ნმა თამთა ქუსიკაშვილმა (დაბ: 21.07.1988 წ. ქ. თბილისში. მცხ: თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. კორპ. 5ა, ბინა #13; პ/ნ #14001008602; ბარათის ნომერი: 13IE29713) მომმართა.

აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მთარგმნელმა წარმომიდგინა მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - სერტიფიკატი: ნომერი: 53 გაცემული „გლობალ ამერიკულ-ბრიტანული ცენტრის" მიერ 08.11.2012 წ.

მთარგმნელი ჩემს მიერ გაფრთხილებული იქნა იმ პასუხიმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს არასწორ თარგმანს, მან განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა დოკუმენტზე.

გადახდილია საზღაური "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების (29.12.2011) 31-ე მუხლის საფუძველზე **2,00** ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე **2,00 (ორი)** ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. **0,36 ლარი, ჯამში: 4,36** ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

GEORGIA

**On the April 25, two thousand sixteen,** before me, Megi Magaldadze, Notary of Georgia, in my notary office of #19 K. Marjanishvili Str., Tbilisi, personally appeared **Ms. Tamta Kusikashvili**, who represented document translated **from English into Georgian language** and declared that she wants to notarize/witness her signature on the translation.

I checked up her identity and ascertained that through description of the identity card submitted by her, she is - **Tamta Kusikashvili** (born on: 21.07.1988 in Tbilisi, residing at: building 5-a, Apt. 13, D. Guramishvili Ave., Tbilisi; Personal Number: 14001008602, ID card number: 13IE29713).

Her legal capacity has been duly established. Interpreter submitted document proving her competence - Certificate No 53, issued by Global-American British Centre on 08.11.2012.

Then I warned the translator on responsibility caused by incorrect translation, she acknowledged that the translate she properly knows English language and undertakes responsibility for accuracy of translation; whereupon she personally set her signature to the foregoing document in my presence.

Fee for notary service have been paid: **2,00 GEL** has been paid pursuant to art. 31, of Decree № 507 of the Government of Georgia issued on 29.12.2011 "on Approving Amounts of Fee for Execution Notary Deeds and Payments Determined for Notary Chamber of Georgia, Payment Procedure and Service Terms", **2,00 GEL** has been paid pursuant to art. 39, and **0,36 GEL** – VAT has been paid pursuant to art. 169 of the Tax Code of Georgia; Totally **4,36 GEL** has been paid.

საქართველოს ნოტარიუსი:
Notary of Georgia:

მეგი მაღალდაძე
MEGI MAGALDADZE

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N160430025 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 25.04.2016 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | მეგი მაღალდაძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა N19 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2967042 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 23431815613816 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18